8689

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП(б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი 19 ნოემბერი 1941 წ. № 274 (6279) ფასი 15 კაპ.

გვარდია, რომელიც ბრძოლებში იშვა

წითელი არმია და მთელი საბჭოთა ხალხი სიამაყით წაიკითხავენ გამოქვეყნებულ ცნობას იმის შესახებ, რომ უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა გვარდიის დივიზიები დაარქვა 9 დივიზიას.

ფაშისტური გერმანიის ჰიტლერელთა ურდოების წინააღმდეგ ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის მრავალ ბრძოლაში 100, 127, 153, 161, 107, 120, 64 და 316 მსროლელმა დივიზიებმა და მოსკოვის 1-ლმა მოტომსროლელმა დივიზიამ მამაცობის, გულადობის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის მაგალითები გვიჩვენეს. ამ დივიზიებმა ბრძოლის ძნელ პირობებში არა ერთხელ დაამარცხეს სასტიკად გერმანელ ფაშისტთა ჯარები, გააქციეს ისინი, თავზარი დასცეს მათ.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესაბამისად, ხსენებულ დივიზიებს გვარდიის დივიზიები დაარქვა საბრძოლო გმირობისათვის, ორგანიზებულობისათვის, დისციპლინისა და სამაგალითო წესრიგიანობისათვის. მათ გვარდიის დროშები ეძლევათ. ყველა ამ 9 გვარდიის დივიზიაში მთელს უფროსთა შემადგენლობას ერთნახევარი, ხოლო მებრძოლებს—ორმაგი ჯამაგირი დაუწესდა.

გვარდიის ნაწილები წითელი არმიის ქმნილებაა, რომელიც გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ ომის ცეცხლში იშვა. გვარდიის ნაწილები ჩვენი არმიის მშვენებაა. ეს გმირული შენაერთებია, რომლებიც წითელ არმიას ადუღაბებენ, რომლებიც მის მოწინავე, დამკვრელ ძალას შეადგენენ.

გვარდიის ნაწილები დაზვერვის ოსტატობას დაეუფლნენ და წინ მიდიოდნენ სერიოზული მომზადების შემდეგ, როცა მოსინჯავდნენ მტრის სუსტ ადგილებს და უზრუნველჰყოფდნენ თავიანთი ფლანგების დაცვას. ისინი წინსვლას არა სჯერდებოდნენ, არამედ ცდილობდნენ გარღვევა გაეფართოებინათ მტრის უახლოესი ზურგის წინააღმდეგ თავიანთი მოქმედებით. როცა მტერს ტერიტორიას წაართმევდნენ, ისინი დაუყოვნებლივ მკვიდრდებოდნენ, აწყობდნენ მტკიცე დაცვას ღამისათვის და სერიოზულ დაზვერვას აწარმოებდნენ, რათა ხელახლა გაესინჯათ კბილი უკანდახეულ მტრისათვის.

გვარდიის დივიზიები ახორციელებენ არა პასიურ, არამედ აქტიურ თავდაცვას, კონტრიერიშებთან შეერთებულს. მტრის მოძალებისას ისინი პანიკას არ უშვებდნენ თავიანთ რიგებში, არამედ ორგანიზებულად უპასუხებდნენ მტრის დარტყმას დარტყმით, სასტიკად ლაგმავდნენ პანიკიორებს, ულმობლად უსწორდებოდნენ ლაჩრებსა და დეზერტირებს და ამით უზრუნველჰყოფდნენ თავიანთი ნაწილების დისციპლინასა და ორგანიზებულობას.

ამ დივიზიებში მეთაურები და კომისრები ისე იქცეოდნენ, როგორც მამაცი და ზომთხოვნელი უფროსები, რომლებსაც უნარი აქვთ თავიანთ დაქვემდებარებულთ შეასრულებინონ ბრძანებანი და რომლებსაც არ ეშინიათ დასაჯონ ბრძანებათა და დისციპლინის დამრღვევნი.

გვარდიის ნაწილების შექმნა წითელი არმიის ზრდის, მისი საკადრო შემადგენლობის განმტკიცებისა და მის საბრძოლო თვისებების ამაღლების დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ფაშისტ მყვირალებს არაერთხელ დაუკვეხნიათ, თითქოს მათ „მოსპეს" წითელი არმია, დაუკარგეს მას ბრძოლის უნარი, თითქოს წითელ არმიას რეზერვები აღარა ჰყავს. გვარდიის ნაწილები ამ უაზრო სიცრუის საუკეთესო პასუხია. გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა თავიანთ თავზე გამოსცადეს ახალგაზრდა გვარდიის ნაწილების დარტყმების ძალა. ფაშისტ ყაჩაღთა რჩეული დივიზიები იარაღს ჰყრიდნენ და გარბოდნენ, რადგან ვერ უძლებდნენ საბჭოთა ხალხის გვარდიის იერიშს.

გვარდიელი მეომრის უმაღლესი ტიპია. იგი არა მარტო უშიშარია ბრძოლაში, არამედ თავისი საქმის ოსტატობასაც დაუფლებულია. იგი ხალხისათვის ჩვეულ მოსაზრებულობას იჩენს. მასში ცოცხლობს მხედრული სული მისი დიდი წინაპრებისა, რომლებიც რუსეთის მიწა-წყალს იცავდნენ უცხოელი მტრებისაგან. წითელი არმიის გვარდიელი ლენინისა და სტალინის აღზრდილია. იგი თავისი ქვეყნის ღირსების, სახელოვნობისა და დიდების შეგნებით აღიზარდა.

ჩვენი არმია ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. იგი სულ ხუთიოდე თვეა, რაც ომობს. მას მოწინააღმდეგედ ჰყავს გერმანელთა საკადრო არმია, რომელიც უკვე 2 წელია ომობს. მაგრამ ჩვენი არმია სამართლიანი საქმისათვის იბრძვის. იგი მშობლიურ მიწა-წყალს იცავს. იგი სისხლითა და ხორცით არის დაკავშირებული მთელ თავის ხალხთან. მისი ძალები იზრდება და მტკიცდება. დროებითი წარუმატებლობა ჩვენს არმიას სწრთვნის. იგი მკაცრ სკოლას გადის, მაგრამ ამ სკოლიდან იგი გამარჯვებული გამოვა. „ლენინგრადისა და მოსკოვის დაცვა, სადაც ჩვენმა დივიზიებმა ამასწინათ გერმანელთა 3 ათეული კადრის დივიზია გაჟლიტეს, გვიჩვენებს, რომ სამამულო ომის ცეცხლში იჭედებიან და უკვე გამოიჭედნენ ახალი საბჭოთა მებრძოლები — მეთაურები, მფრინავები, არტილერისტები, ნაღმტყორცნელები, ტანკისტები, ქვეითნი, მეზღვაურები, რომლებიც ხვალ გერმანიის არმიის რისხვად გადაიქცევიან". (სტალინი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა გვარდიის მე-8 მსროლელი დივიზია გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სამაგალითოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის.

მე-8 დივიზიამ ჯილდო დაიმსახურა მოსკოვის მისადგომებზე მტერთან გაფთრებულ ბრძოლებში. მძიმე და დაძაბულ ბრძოლებში იცავდა რა გერმანელი დამპყრობელებისაგან მოსკოვს, გვარდიის მე-8 დივიზიამ გამოიჩინა ის სიმამაცე და სიმედგრე, საბჭოთა ხალხის, ჩვენი სამშობლოსადმი ის დიდი ერთგულება, რომელიც გმირებს წარმოშობს. გვარდიის დივიზიებში გმირობა მასობრივი მოვლენა გახდა. აქ ყოველი მეომარი ცდილობს ავანგარდში იყოს, წინ მიდიოდეს, ამარცხებდეს და სპობდეს მტერს.

ამიერიდან წითელ არმიას 9 გვარდიის დივიზია ჰყავს. ისინი ბევრად უფრო მეტნი იქნებიან! წითელ არმიაში დღითი-დღე მრავლდება გმირობათა რიცხვი, მრავლდება მამაცთა რიცხვი, მატულობს იმ ნაწილების რაოდენობა, რომლებიც მძიმე, საგრძნობ ლახვარს სცემენ გერმანელთა ნაქებ ჯარებს.

ჩვენი გვარდიის დივიზიების უდიდეს მნიშვნელობას შეადგენს არა მარტო ის, რომ ისინი თვითონ ანადგურებენ მტერს, სპობენ მის ტანკებს, არტილერიისა და ქვეითს ჯარს, არამედ ისიც, რომ გვარდიელები მაგალითს წარმოადგენენ წითელი არმიის ყველა მეომრისათვის. ამხანაგებო, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მებრძოლებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო! მიჰბაძეთ გვარდიის ნაწილებს, იყავით ისეთივე მამაცი, ერთგული და მედგარი მეომრები, როგორიც არიან საბჭოთა ხალხის გვარდიელები!

დიდების შარავანდედით არის მოსილი სიტყვა „გვარდია". გვარდიის პოლკების შექმნის შემდეგ დაიწყო თავისი ისტორიული არსებობა რუსი ხალხის რეგულარულმა არმიამ. პეტრე I ამ არმიას საფუძვლად დაუდო ცნობილი პრეობრაჟენსკისა და სემიონოვსკის პოლკები, გვარდიის პირველი ნაწილები. ისინი თავისი დისციპლინიანობით, გაწრთვნილობითა და მამაცობით განირჩეოდნენ. მათმა დროშებმა ღირსეულად მოიხვეჭეს საბრძოლო სახელი. მათი ტრადიციები ცოცხლობდა რუსეთის არმიაში, ზრდიდა მამაც მეომრებსა და გამოჩენილ რუს მხედართმთავრებს. წითელი გვარდიის შექმნის შემდეგ დაიწყო თავისი არსებობა წითელმა არმიამ. მუშებმა თავიანთ მეომრებს გვარდიელები უწოდეს მამაცობის, სიმტკიცისა და სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების აღსანიშნავად.

წითელი არმიის გვარდიის დივიზიებს სახელოვანი წარსული აქვთ. მათ არანაკლები სახელოვანი მომავალი ელოდება. წითელი არმიის გვარდიელმა იცის, რომ მას იმედით შეჰყურებს ჩვენი ქვეყანა, რომ გვარდიელით ამაყობენ საბჭოთა ადამიანები, რომ იგი სახელს უხვეჭს თავის მშობელ-ახლობლებს. იგი მაგალითს წარმოადგენს ყველა მებრძოლისათვის. გვარდიელისებურად იბრძვება წითელი არმია და წითელი სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

ჰიტლერის ურდოები თანდათან სუსტდებიან და კვლავაც დასუსტდებიან. მათ უკვე დაჰკარგეს თავიანთი რჩეული ნაწილები. შერყეული და არამტკიცე ზურგი გერმანელთა ჯარებისა ახალი ძლიერი დივიზიების შექმნის შესაძლებლობას არ იძლევა. გერმანიის არმიის მორალურ-პოლიტიკური მდგომარეობა უარესდება. გერმანელი ხალხი ჰიტლერის მიერ წამოწყებული დანაშაულებრივი ავანტიურის კეთილად დაგვირგვინების რწმენას ჰკარგავს. თავისი გამარჯვების რწმენით გამსჭვალული მთელი წითელი არმია, რომელიც მთელ საბჭოთა ხალხს ეყრდნობა, ჰქმნის და მომავალშიც შექმნის გვარდიის ნაწილებს ხალხის საუკეთესო შვილებისაგან. ჩვენი გვარდიელები ამჟამადვე მრისხანე ძალას წარმოადგენენ მტრისათვის. ახლოვდება ჟამი, როდესაც წითელი არმია მთელი თავისი ძალით რისხვად დაატყდება თავს ჰიტლერელთა დანაშაულებრივს ბანდას.

„პრავდის" მოწინავე, 18/XI.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

18 ნოემბრის დილის ცნობა

17 ნოემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ ყველა ფრონტზე.

* * *

სამხრეთის ფრონტზე მოქმედმა ჩვენმა ავიანაწილებმა ერთ დღეში მოსპეს გერმანელთა 118 ავტომანქანა სამარი მასალითა და ჯარისკაცებით-ურთ, 5 ჯავშნიანი მანქანა, შტაბის ავტობუსი, 10 საზიდარი და მტრის 500-ზე მეტი ქვეითი ჯარისკაცი.

* * *

ლენინგრადის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე გერმანელთა 8 ტანკი, რომლებიც ცდილობდნენ ფლანგიდან შემოევლოთ ჩვენი ჯარის ნაწილებისათვის, კოლონად მოდიოდნენ ვიწრო სასოფლო გზით. ლეიტენანტ მარტინოვის სატანკო ეკიპაჟმა მტერი შეამჩნია და სროლა აუტეხა. პირველმა ყუმბარამ მწყობრიდან გამოიყვანა გერმანელთა მოწინავე ტანკი, მეორე ყუმბარამ ცეცხლი გაუჩინა მანქანას, რომელიც კოლონის ბოლოში მოდიოდა. დაზიანებულმა მანქანებმა გზა გადაუღობეს დანარჩენ ტანკებს. ფაშისტ ტანკისტთა შორის პანიკა დაიწყო. ისინი აქეთ-იქით აწყდებოდნენ. მარტინოვის ეკიპაჟი კვლავ ანადგურებდა ზედიზედ გერმანელთა ტანკებს. ფაშისტებმა მანქანები მიატოვეს და გაიქცნენ. საბჭოთა გმირულმა ეკიპაჟმა ხელთ იგდო მდიდარი დავლა: 3 დაუზიანებელი ტანკი და 2 ტანკი, რომლებიც მცირე რემონტს საჭიროებს, სრული საჭურველითა და სამარი მასალითურთ.

* * *

უკრაინის რაიონებში, რომლებიც დროებით დაპყრობილია გერმანელების მიერ, დღითი-დღე ძლიერდება საბჭოთა პარტიზანების აქტივობა. დნეპროპეტროვსკის ოლქში პარტიზანულმა რაზმმა, რომელსაც ამხ. ტ. მეთაურობს, გასწყვიტა გერმანელთა მცველი რაზმი და მოსპო გერმანელთა 3 ავტომანქანა სამარი მასალითურთ. ზაპოროჟიელ პარტიზანთა რაზმმა ცეცხლი გაუჩინა ელევატორს, რომელშიც გერმანელების მიერ გლეხებისაგან ნაძარცვი პური იყო. სოფელ რ-ში პარტიზანები თავს დაესხნენ ფაშისტთა რაზმს, რომელიც სოფელში პირუტყვისა და პურისათვის ჩავიდა. გაჩაღებულ ბრძოლაში მოსპობილ იქნა 15 გერმანელი ჯარისკაცი. მტერს დიდი ზარალი მიაყენა ამხ. ვ-ს პარტიზანულმა რაზმმა, რომელიც პოლტავის ოლქში მოქმედებს. სოფელ პ-ში გერმანელთა ჯარის ნაწილი ჩავიდა. ადგილობრივმა მოსახლეობამ ეს იმავე დღეს შეატყობინა პარტიზანული რაზმის შტაბს. ღამით პარტიზანები უეცრად დაესხნენ თავს ფაშისტებს. ქუჩებში სასტიკი ბრძოლა გაიმართა. ამ ბრძოლაში პარტიზანებმა მოსპეს 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი, 3 ტანკი, 2 ჯავშნიანი მანქანა, 9 ავტომანქანა და 30 საზიდარი სამარი მასალითურთ. ამხ. დ-ს პარტიზანული რაზმის მზვერავებმა გამოარკვიეს, რომ დაბის განაპირა უბანში გერმანელთა ჯარის ნაწილის შტაბი განლაგებულიყო. დაღამებისას პარტიზანების ჯგუფმა რაზმის მეთაურის წინამძღოლობით ალყა შემოარტყა ქოხს და გასწყვიტა გუშაგნი. პარტიზანებმა მოსპეს 8 ოფიცერი, 2 ჯარისკაცი, ხელთ იგდეს დოკუმენტები და მიიმალნენ.

* * *

ამხანაგ სტალინის მიერ მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე გაკეთებულმა მოხსენებამ და მოსკოვში წითელ მოედანზე 7 ნოემბერს წითელი არმიის პარადზე წარმოთქმულმა მისმა სიტყვამ ახალი პატრიოტული აღფრთოვანება გამოიწვია საბჭოთა ახალგაზრდობაში. „იშიმბაინეფტის" მე-3 სარეწავის ნავთის ახალგაზრდა მუშაკების ინიციატივით მიმდინარეობს მთელი ძველი მოწყობილობის აღდგენა. ამ დღეებში ნავთის მუშაკებმა აამუშავეს 15 ჭაბურღილი, რომლებიც უქმად იდგა. ქალაქ ფრუნზეს მექანიკურ ქარხანაში სტალინურ ვახტზე დადგა მემონტაჟე პაველ კორიჩევის ახალგაზრდათა ბრიგადა. სამ დღეში ბრიგადამ დავალება 470 პროცენტით შეასრულა. ცვლაში 4 ნორმაზე მეტს ასრულებენ ახალგაზრდა სტახანოველები — ხარატი მაბრინი, ზეინკლები — მასლოვი და პოგორელოვი. ქალაქ ომსკში კომინტერნის სახელობის ქარხანაში ახალგაზრდა მუშები ცვლაში სულ ცოტა ორ-ორ ნორმას ასრულებენ. ჩერემხოვოს ქვანახშირის აუზის ს. მ. კიროვის სახელობის შახტში ახალგაზრდა მეშახტე გოლშენკომ ნორმა 230 პროცენტით შეასრულა, ამწყნდმა გრიგორიევმა ნორმას ერთიორად გადააჭარბა. ელექტრომავლის მემანქანე ამხ. ბიბიხმა, რომელიც წინათ ნორმას საშუალოდ 105 პროცენტით ასრულებდა, გამომუშავება 180-200 პროცენტამდე გაადიდა.

18 ნოემბრის საღამოს ცნობა

18 ნოემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მტერთან ყველა ფრონტზე. განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლები სწარმოებდა კალინინის, ვოლოკოლამსკისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე. ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მტრის იერიშებს, სპობდნენ გერმანელთა ტექნიკას და ცოცხალ ძალას.

17 ნოემბრის განმავლობაში მოსპობილია გერმანელთა 18 თვითმფრინავი, ჩვენ 4 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

17 ნოემბრის განმავლობაში დასავლეთისა და სამხრეთის ფრონტებზე მოქმედი ჩვენი ავიაციის ნაწილებმა მოსპეს გერმანელთა 10 ტანკი, 60-ზე მეტი ავტომანქანა ქვეითი ჯარითა და საომარი მასალითურთ, 60-ზე მეტი საზიდარი, 4 საველე ქვემეხი და მტრის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ჩვენმა ნაწილმა, რომელიც დასავლეთის ფრონტის ერთერთ უბანზე მოქმედებს, გერმანელებს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. 16 და 17 ნოემბრის ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა მოსპეს მტრის 16 ტანკი, 14 ქვემეხი, რამდენიმე ნაღმსატყორცნი ბატარია, 30 ავტომანქანა და 10 საზიდარი სამხედრო ტვირთითა და მტრის ქვეითი ჯარითურთ. ხელთ იგდეს ნადავლი: 6 ქვემეხი, 27 დაზგის და ხელის ტყვიამფრქვევი, რამდენიმე ნაღმსატყორცნი და სხვა საჭურველი.

* * *

ტანკების წინააღმდეგ მებრძოლმა უფროს ლეიტენანტ ამხ. კოტოვის გამანადგურებელმა რაზმმა ახლო მანძილზე მოუშვა გერმანიის ტანკების დიდი კოლონა და მტრის 8 მანქანა დასწვა. ტანკების გამანადგურებელმა წითელარმიელმა კრუპიკომა ერთერთ ბრძოლაში მოსპო გერმანელთა 3 ტანკი. უმცროსი ლეიტენანტების ამხ. ჩალანოვის და ტემლინოვის გამანადგურებელი რაზმები ღამით ჩასაფრდნენ. გრანატებითა და ცეცხლგამჩენი ბოთლებით მათ მტრის 2 ტანკი და 2 ავტომანქანა დასწვეს.

* * *

საბჭოთა პატრიოტების მოქმედება გერმანიის ფაშისტური არმიის ზურგში გერმანიის სარდლობის სულ უფრო-დაუფრო მეტ შეშფოთებას იწვევს. დამპყრობლები იძულებული არიან აღიარონ, რომ ისინი ყველგან მტრულ გარემოცვაში იმყოფებიან. „შპიონაჟთან, საბოტაჟთან და სხვ. ბრძოლის შესახებ" გაცემულ ბრძანებაში ფაშისტი გენერალი ებერჰარდი აღნიშნავს, რომ რუსებმა „შეიმუშავეს გერმანიის არმიის წინააღმდეგ ბრძოლის მრავალი სხვადასხვა ფორმები. ამიტომ ზურგის ორგანიზაციების პირველი ამოცანაა თავიდან აიცილონ ყოველგვარი მღელვარება მოქმედი ჯარების ზურგში... მტრის საიდუმლო პროპაგანდას და პარტიზანების საქმიანობას შეიძლება მოჰყვეს კიდევ უფრო მეტი მღელვარება მოსახლეობაში, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაედოს ჯარებს". ფაშისტი გენერალი ბრძანებს გასწყვიტონ „ყველა არასასურველი ელემენტი სამოქალაქო მოსახლეობიდან და ხელსაყრელი ნიადაგი შექმნან ჯაშუშობისათვის". პარტიზანების შიშით გენერალი წინადადებას იძლევა „გულდასმით გაჩხრიკონ საზიდარები, რომლებიც გზებზე შეხვდებათ..., გულმოდგინედ გაჩხრიკონ ფეხით მიმავალნი, გაუსინჯონ ჩანთები, კალათები, განსაკუთრებით გლეხ ქალებს, გამოჰკითხონ საიდან და რისთვის მიდიან"... მაგრამ არც გერმანიის არმიის სარდლობის ბრძანებებს, არც ფაშისტ მტარვალთა სისხლიან ბოროტმოქმედებას არ შეუძლია გასტეხოს დაუშრეტელი ნებისყოფა საბჭოთა პატრიოტებისა, რომლებიც უშიშრად ანადგურებენ გერმანელ ოკუპანტებს. ფაშისტთა მიერ ოკუპირებულ რაიონებში გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა ახალი ძალით ვითარდება.

* * *

თავდადებით მუშაობენ ყირგიზეთის სს რესპუბლიკის ჯალალ-აბადის ოლქის მშრომელები, რომლებიც წითელ არმიას ეხმარებიან ფაშისტ ინტერვენტთა მოსპობაში. კოლმეურნეობანი ბამბის დიდ მოსავალს იღებენ. სუზაკის რაიონის კოლმეურნეობათა რგოლმეთაურებმა სალი ალიმოვმა, საბითკულ მამარასუმ, ლევინახან ისმაილოვმა და სხვებმა ჰექტარზე ას-ასი და მეტი ცენტნერი ბამბა მოიყვანეს. ოლქმა ვადამდე შეასრულა სახელმწიფოსათვის ბამბის ჩაბარების გეგმა. „კოკ იანგაკის" მაღაროს გვირაბ „კაპიტალნაიას"—შუა აზიაში ამ უდიდესი გვირაბის—მაღაროელებმა ჩვენს ქვეყანას რამდენიმე ათასი ტონა ქვანახშირი მისცეს წლიური პროგრამის გადამეტებით.

ამხანაგ სტალინის გამოსვლის საპასუხოდ ოლქის კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს 10 პროცენტით გადააჭარბონ ბამბის ჩაბარების გეგმას. „კაპიტალნაიას" მაღაროელებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით ამოიღონ რამდენიმე ათეული ათასი ტონა ქვანახშირი.

თავდაცვის სახალხო კომისარიატში

100, 127, 153, 161, 107, 120, 64 და 316 მსროლელი დივიზიებისათვის და მოსკოვის 1-ლი მოტომსროლელი დივიზიისათვის გვარდიის დივიზიების დარქმევის შესახებ

ფაშისტური გერმანიის ჰიტლერელთა ურდოების წინააღმდეგ ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის მრავალ ბრძოლაში 100, 127, 153, 161, 107, 120, 64 და 316 მსროლელმა დივიზიებმა და მოსკოვის 1-ლმა მოტომსროლელმა დივიზიამ მამაცობის, გულადობის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის მაგალითები გვიჩვენეს. ამ დივიზიებმა ბრძოლის ძნელ პირობებში არაერთხელ დაამარცხეს სასტიკად გერმანელ ფაშისტთა ჯარები, გააქციეს ისინი, თავზარი დასცეს მათ.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესაბამისად, საბრძოლო გმირობისათვის, ორგანიზებულობისათვის, დისციპლინისა და სამაგალითო წესრიგიანობისათვის, აღნიშნულ დივიზიებს გვარდიის დივიზიები დაარქვა, სახელდობრ:

მე-100 მსროლელ დივიზიას—გვარდიის 1-ლი მსროლელი დივიზია. დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი **ი. ნ. რუსიანოვი.**

127-ე მსროლელ დივიზიას—გვარდიის მე-2 მსროლელი დივიზია. დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი **ა. ზ. აკიმენკო.**

153-ე მსროლელ დივიზიას—გვარდიის მე-3 მსროლელი დივიზია. დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი **ნ. ა. გაგენი.**

161-ე მსროლელ დივიზიას—გვარდიის მე-4 მსროლელი დივიზია. დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი **პ. ფ. მოსკვიტინი.**

მოსკოვის 1-ლ მოტომსროლელ დივიზიას—მოსკოვის გვარდიის 1-ლი მოტომსროლელი დივიზია. დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი **ა. გ. ლიზიუკოვი.**

107-ე მსროლელ დივიზიას—გვარდიის მე-5 მსროლელი დივიზია. დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი **პ. ვ. მირონოვი.**

120-ე მსროლელ დივიზიას—გვარდიის მე-6 მსროლელი დივიზია. დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი **ი. ე. პეტროვი.**

64-ე მსროლელ დივიზიას—გვარდიის მე-7 მსროლელი დივიზია. დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი **გრიაზნოვი.**

316-ე მსროლელ დივიზიას—გვარდიის მე-8 მსროლელი დივიზია. დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი **ი. ვ. პანფილოვი.**

აღნიშნულ დივიზიებს ეძლევა გვარდიის დროშები.

ყველა ამ 9 გვარდიის დივიზიაში მთელ უფროსთა შემადგენლობას (უმაღლეს, უფროს, საშუალო და უმცროს შემადგენლობას) ერთნახევარი, ხოლო მებრძოლებს ორმაგი ჯამაგირი დაუწესდა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გვარდიის მე-8 მსროლელი დივიზიის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სამაგალითოდ შესრულებისა და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის გვარდიის მე-8 მსროლელი დივიზია დაჯილდოებულ იქნას წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

1941 წ. 17 ნოემბერი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

ი. ტ. კოროვნიკოვისათვის გენერალ-მაიორის წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მიენიჭოს ივანე ტერენტის-ძე კოროვნიკოვს გენერალ-მაიორის წოდება.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ი. სტალინი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
ი. ჩადაევი

მოსკოვი, კრემლი.
1941 წ. 17 ნოემბერი.

გერმანიის თვითმფრინავების თავდასხმა მოსკოვზე

17 ნოემბერს, ღამით, და 18 ნოემბერს, დილით, გერმანიის თვითმფრინავთა რამდენიმე ჯგუფი ცდილობდა თავს დასხმოდა მოსკოვს. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით მოსკოვის მისადგომებთან ჩამოგდებულია გერმანიის 13 თვითმფრინავი. ჩვენ 2 თვითმფრინავი დავკარგეთ.

ქალაქის რაიონში შემოიჭრა მტრის რამდენიმე თვითმფრინავი, რომლებმაც ფუგასური ბომბები დააყარეს არასამხედრო ობიექტებს. მსხვერპლი მცირეა.

ქრონიკა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIV წლისთავის დღესასწაულობასთან დაკავშირებით, კვლავ მოდის მისალმებანი უცხოეთის სახელმწიფო მოღვაწეთაგან. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა მისასალმებელი დეპეშები მიიღო ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბ-ნ ლინ-სენისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბ-ნ ედ. ბენეშისაგან.

მისასალმებელი დეპეშა საგარეო საქმეთა კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელზე გამოგზავნა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბ-ნმა გ. რიპკამ.

ამხანაგმა მ. ი. კალინინმა და ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა საპასუხო დეპეშები გაგზავნეს, რომლებშიც გამოთქმულია მადლობა მისალმებისათვის.

* * *

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ თევდორე ფედოტის-ძე **კუზნეცოვს** მიანიჭა არმიის მეორე რანგის კომისრის წოდება.

შეუპოვარი ბრძოლები მნიშვნელოვან მიჯნაზე

ლენინგრადი, 16 ნოემბერი („პრავდის" სპეც. სამხედრო კორესპონდენტისაგან). ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ჩვენი ჯარის ნაწილები მედგარ ბრძოლებს ეწევიან გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან. ამხ. ანდრეევისა და ზაიცევის ქვეგანაყოფები სძლევენ მტრის ძალზე გამაგრებულ (გამოტოვებულია) და გააფთრებული ცეცხლით წინააღმდეგობას და შეუპოვრად მიიწევენ წინ. გერმანელები გარეკილ იქნენ სანგრებიდან, რომლებიც მათ ორ თვეზე მეტია ეჭირათ.

ჩვენი ჯარის ნაწილები ბრძოლით იღებენ ყოველ მტკაველ მიწას; მათ უკან დაახევინეს ფაშისტებს და გააფართოვეს თავიანთი პლაცდარმი მდინარე ნ-ს მარცხენა ნაპირზე. ბომბდამშენი და მოიერიშე ავიაცია არტილერიასთან თანამოქმედებით ანადგურებს და აჩუმებს მტრის საცეცხლო წერტებს, ანგრევს სიმაგრეებს, გზას უკაფავს ქვეითი ჯარის ქვეგანაყოფებს.

გერმანელებმა არაერთგზის მოიტანეს კონტრიერიში, ცდილობდნენ დაებრუნებინათ დატოვებული პოზიციები, მაგრამ მათმა ცდებმა უშედეგოდ ჩაიარა.

უკანასკნელი 5 დღის განმავლობაში ფრონტის ამავე უბანზე ფაშისტებმა ათასამდე კაცი დაჰკარგეს მოკლულთა და დაჭრილთა სახით. ჩვენ ხელთ ვიგდეთ დავლა.

ლენინგრადის დამცველები დიდი აღფრთოვანებით იბრძვიან. ბრძოლები გრძელდება.

ა. მალიუტინი.

გააფთრებული ბრძოლა ვოლოკოლამსკის მიმართულებით

ვოლოკოლამსკის მიმართულება, 17 ნოემბერი (ტელეფონით). მეთაურ სუხანოვის უბანზე გერმანიის სარდლობამ საბრძოლველად გამოგზავნა დიდი სატანკო და ქვეითი ნაწილები.

მეთაურ სუხანოვის მებრძოლები მტერს მედგრად და მამაცურად შეხვდნენ. მათ მოსპეს ფაშისტთა 3 ტანკი, 200-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, 6 ავტომანქანა და მტერი წინანდელ პოზიციებზე უკუაქციეს.

მარცხით გაბოროტებული გერმანელები შეეცადნენ გამოჭრილიყვნენ ამხ. კატუკოვის ნაწილის მოქმედების რაიონში. ჩვენმა მამაცმა ტანკისტებმა მტერს სერიოზული, მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს. 3 საათის ბრძოლის შედეგად მათ დაზიანეს და მწყობრიდან გამოიყვანეს მტრის 20-ზე მეტი ტანკი და 2 ასეულამდე ქვეითი ჯარი.

გ. მანეიროვი.

საბჭოთა ხალხისადმი მისალმებანი ოქტომბრის რევოლუციის XXIV წლისთავთან დაკავშირებით

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIV წლისთავთან დაკავშირებით ამხანაგი სტალინის სახელზე მიღებულია შემდეგი მისალმებანი:

ჩოპუელიდან (ინგლისი)

რევოლუციის წლისთავზე უგულითადეს სალამს ვუთვლით ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ჩვენს ამხანაგებს.

ჩოპუელის მაღაროელნი ტემპლი.

* * *

ნიუკესლიდან (ინგლისი).

გილოცავთ XXIV წლისთავს და პირობას გაძლევთ, რომ სრულ დახმარებას გაგიწევთ საერთო ბრძოლაში.

ტაინის რაიონის გემთმშენებელი ქარხნების საფაბრიკო მამასახლისების კონფერენცია.

* * *

მელბურნიდან (ავსტრალია)

რუსეთის ჯარისკაცებსა და ხალხს

ჩვენ, მელბურნის 3 ათასი მოქალაქე, მოგესალმებით თქვენს XXIV წლისთავზე. მოხარული ვართ, რომ იზრდება მეგობრობა ავსტრალიისა და სსრ კავშირის ხალხებს შორის, და რაც კი შესაძლებელია, ყველაფერს გავაკეთებთ ამ მეგობრობის განსამტკიცებლად. პირობას გაძლევთ, რომ ყოველგვარად დაგეხმარებით ჰიტლერიზმის მოსასპობად გაჩაღებულ საერთო ბრძოლაში. სახელი და დიდება მამაც წითელ არმიას, მთელი მსოფლიოს დემოკრატიის დამცველს! სახელი და დიდება ლენინგრადის და მოსკოვის გმირ დამცველებს, დაუღალავად მშრომელ მილიონობით მუშებს და უშიშარ პარტიზანებს! სახელი და დიდება სტალინს და თქვენი ბრძოლის გმირ ხელმძღვანელებს! ჩვენ, ინგლისელი და საბჭოთა ხალხები, საერთო ღონისძიებით მოვსპობთ ფაშისტურ ბარბაროსებს და უკეთეს მომავლის გზას გავუხსნით მთელს კაცობრიობას.

საბჭოთა კავშირთან მეგობრობის ავსტრალიური ლიგა.
ლორი.

* * *

ედმონტონიდან (კანადა)

XXIV წლისთავზე ედმონტონის ათასობით მოქალაქე მხურვალედ მიესალმება დიდ საბჭოთა ხალხს, მის სახელოვან წითელ არმიას, ფლოტს, მფრინავებს და მათს მამაც ხელმძღვანელებს. გმირი საბჭოთა ხალხის უშიშარი წინააღმდეგობა მხურვალე აღტაცებას იწვევს ჩვენში. გაუმარჯოს მამაც საბჭოთა ხალხს, მის უშიშარ არმიას, ფლოტს, მფრინავებს! გაუმარჯოს მათს ხელმძღვანელებს! გაუმარჯოს დიდ სტალინს! ჩვენ თქვენთან ერთად ვართ!

ა. ჰერდი.

კომკავშირულ-ახალგაზრდულ კვირაობაში მოსკოვში მონაწილეობა მიიღო 150 ათასზე მეტმა კაცმა

16 ნოემბერს მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში შედგა მასობრივი კომკავშირულ-ახალგაზრდული კვირაობა. კვირაობამ დიდი წარმატებით ჩაიარა. კომკავშირის მოსკოვის საქალაქო კომიტეტში გუშინ ჩატარებული გამოანგარიშებით, კვირაობაში მონაწილეობა მიიღო 150 ათასზე მეტმა კაცმა.

ახალგაზრდობის ინიციატივას მხარი დაუჭირა მრავალმა ხანში შესულმა მუშამ და მუშა ქალმა—დაახლოებით 50 ათასი კაცი გამოვიდა სამუშაოზე ახალგაზრდა პატრიოტებთან ერთად.

მუშაობა სწარმოებდა ფაბრიკებსა, ქარხნებსა, რკინიგზებსა და მოსკოვის მისადგომებთან თავდაცვის ზღუდეების მშენებლობაზე.

სიმაგრეებისა და ბარიკადების მშენებლობაში ათიათასობით მამაკაცი და ქალი იღებდა მონაწილეობას.

კვირაობის მონაწილეებმა დაახლოებით 2 მილიონი მანეთი გამოიმუშავეს. ფული ტანკების მშენებლობის ფონდს გადაეცემა.

მოსკოვის ოლქის რაიონებიდან მიღებული ცნობების თანახმად, კვირაობა იქაც დიდი წარმატებით ჩატარდა. ლენინის რაიონის კოლმეურნეობებში კვირაობაზე 5.900 კაცი გამოვიდა.

ასობით და ათასობით მუშებმა, მუშა ქალებმა, კოლმეურნეებმა და კოლმეურნე ქალებმა ნორმები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს—ერთ-ერთ ქარხანაში მუშა ქალმა სილიჩკინამ ნორმა შეასრულა 490 პროცენტით, მუშა ალიმიჩკინმა—530 პროცენტით.

გეგმების შესრულება

წითელწყარო (ტელეგრაფით). რაიონმა საშემოდგომო თესვის გეგმა 100,3 პროცენტით შეასრულა. დათესილია 20.566 ჰექტარი. გასულ წელთან შედარებით დათესილია 2.900 ჰექტარით მეტი. თავდაცვის ფონდში დათესილია 350 ჰექტარი. თესვა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მდივანი ალ. კობერიძე

რაიაღმასკომის თავმჯდომარე ვ. მირიანაშვილი

* * *

საჩხერე (ტელეგრაფით). რაიონის კოლმეურნეობებმა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად საშემოდგომო თესვის გეგმა 100,3 პროცენტით შეასრულეს. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.500 ჰექტარისა ხორბლეული კულტურები დათესილია 2.566 ჰექტარზე.

კოლმეურნეობებში წარმატებით მიმდინარეობს თავდაცვის საკოლმეურნეო ჰექტარების თესვა.

ხ. ლაშხი

* * *

გუდაუთი (ტელეგრაფით). ქ. ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა პლატონ გულუამ სიმინდის ხარკორდო მოსავალი მიიღო. მან ჰექტარზე საშუალოდ 717 ფუთი მაღალხარისხოვანი სიმინდი აიღო.

ამჟამად პლატონ გულუა მოქმედ არმიაშია და უკანასკნელ დროს ნაკვეთს უვლის მისი ძმა ფიმი გულუა.

გუდაუთის რაიონული გაზეთის რედაქცია „კრასნაია ზვეზდა".

სამამულო ომის ფრონტებზე

სახალხო შურისმგებელნი

ჩრდილოეთ-დასავლეთი ფრონტი, 17 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). გათენებისას № ნაწილის მებრძოლებმა 7 კაცი შენიშნეს. ისინი ბუჩქებში მალვით მოდიოდნენ ნელა. მებრძოლებმა ფხიზელი ყურადღებით მოუშვეს ამ უცნობ ადამიანთა ჯგუფს.

15 წუთის შემდეგ მზვერავთა რაზმის მეთაურებს გარს ეხვია 7 ახლადმოსული კაცი. მათ ძალიან ალგზნებული გამომეტყველება ჰქონდათ. სახეზე მხიარულება ეტყობოდათ, თვალები უბრწყინავდათ. აჩქარებით ლაპარაკობდნენ, სიტყვასავით აყრიდნენ კითხვებს ფრონტზე არსებულ მდგომარეობის, საბჭოთა ქვეყნის, ლენინის ქალაქის შესახებ... ამ ადამიანებმა უკანასკნელი განსაცდელი გერმანელთა დანაღმული მინდორი—გამოიარეს და ჩვენთან საბჭოთა მიწა-წყალზე დაბრუნდნენ მტრის ღრმა ზურგიდან.

სამ თვეზე მეტი ხნის წინათ, როდესაც ფაშისტ დამპყრობთა ჯარებმა ქალაქი პსკოვი დაიკავეს, კომუნისტები—წითელი არმიის ადგილობრივი ხახლის მუშაკები—ნიკოლოზ სუხანოვი, ალექსანდრე გვოზდოვსკი, ლეონიდ ვილბერგი, გრიგოლ ტურიჩინი, ვასილ მარინი, პეტრე ვასილიევი და მიხეილ სოლდატენკოვი ქალაქიდან წავიდნენ ფაშისტების მიერ დაპყრობილ რაიონში. ამ მცირე რაზმმა მიზნად დაისახა არსად მოსვენება არ მიეცა მტრისათვის და ყველგან მოესპო იგი, დაენგრია მნიშვნელოვანი კომუნიკაციები, დაეწყვიტა კავშირგაბმულობის ხაზები.

ჩვენ ვესაუბრეთ ამ ჯგუფის მეთაურს სუხანოვს და მის ამხანაგებს. მათ კარგად ახსოვთ მტერთან მრავალი დღის გმირული ბრძოლის ეპიზოდები.

— ჩვენ მოქმედება დავიწყეთ ლენინგრადის ოლქის კარამიშევის რაიონში,—ამბობს ამხ. სუხანოვი,—უწინარეს ყოვლისა, ჩვენ გზებით დავიწყეთ. ვუთვალთვალებდით პორხოვის გზატკეცილს და პსკოვ-პორხოვის რკინიგზის ხაზს. ამ ორი მაგისტრალით ფაშისტებს განუწყვეტლივ გადმოჰყავდათ მაშველი ძალები ლენინგრადისა და ნოვგოროდისაკენ. ამ გზებით მოდიოდნენ დატვირთული ავტომანქანები, რკინიგზის შემადგენლობანი ჯარით, საომარი მასალით, სურსათითა და საწვავითურთ.

გზატკეცილზე ქვიშიანი ციცაბო აღმართი იყო. აქ ყოველთვის გროვდებოდა და იხირებოდა ფაშისტების მანქანები. ჩვენი რაზმი აქედან რამდენიმე დღეს უთვალთვალებდა კოლონების მოძრაობას. როცა ყველაფერი მოვამზადეთ, გადავწყვიტეთ მოქმედება დაგვეწყო. საღამოს ბუჩქებში ჩავსაფრდით; გზას 5-10 მეტრი გვაშორებდა. დაველოდეთ თავდასხმის სიგნალი.

ძლიერ დატვირთული მისაბმელიანი გადახურული მანქანა ძლივს გამოდიოდა ქვიშაზე და პირდაპირ ჩვენსკენ მოემართებოდა. მას ნელ-ნელა მოჰყვებოდა კიდევ რამდენიმე საბარგული და მსუბუქი ავტომობილი. მალე ყველა მანქანა პირველს მოადგა. გერმანელები დასასვენებლად დასხდნენ. დიდხანს მარჯვე დრო, ჩვენ ხელყუმბარებით ვეკვეთეთ ფაშისტებს. ვილბერგმა ხელყუმბარების კონა ესროლა საბარგულს. სხვა ამხანაგებმა ავტომატი დაუშინეს. რამდენიმე წუთში ყველაფერი გათავდა. გზაზე ალმოდებული ეგდო ბენზინის ცისტერნი, იწვოდა მეორე მანქანა, ეყარა გერმანელთა გვამები. ამრიგად, პორხოვის გზატკეცილის სხვადასხვა ადგილას მცირე ხნის განმავლობაში ჩვენ რამდენჯერმე წარმატებით დავესხით თავს გერმანელთა ტრანსპორტებს. ამის შემდეგ მტერი იძულებული გახდა გაძლიერებული ბადრაგა მიეყენებინა მანქანებისათვის, გზაზე გამოეგზავნა ჯავშნიანი მანქანები.

რაზმი რკინიგზის ხაზზე გადავიდა. აქ მოქმედებამ დიდი გამძლეობა, უშიშარობა და ზუსტი ვარაუდი მოითხოვა. რაზმმა კვლავ დაზვერვით დაიწყო. 20-მდე კილომეტრი გზა მოიხილეს მენაღმეებმა — სოლდატენკოვმა და ვასილიევმა თავიანთ მეთაურთან ერთად.

დივერსიისათვის დიდი დაღმართი ავირჩიეთ მაღალ მიწა-ყრილზე. მატარებლები აქ ჩვეულებრივ სწრაფად დადიოდნენ და მობრუნდებოდნენ ხოლმე. ორივე მხრივ ღრმა ხრამი იყო.

დათქმულ საათზე,—გვიამბობს სუხანოვი, — ყველანი თავიანთ ადგილას ვიყავით. სოლდატენკოვი და ვილბერგი საფარიდან უთვალთვალებდნენ დანარჩენ შემომვლელთ. მე ვაკისიდან 50 მეტრზე ჩავსაფრდი. ხელში წვრილი მავთული მეჭირა. იგი გაჭიმული იყო რელსებთან დადებულ ფალიან ხელყუმბარებისაკენ. ვასილიევს უნდა ედევნებინა თვალყური ტყიდან შედეგებისათვის. შორს თვლების ხმაური მოისმა. გადამწყვეტი მომენტი დადგა. მოსახვევში ორთქლმავალი გამოჩნდა. მას ვაგონების გრძელი კუდი მოჰყვებოდა. წინა ვაგონებში ღია კარებთან იდგნენ გერმანელი ჯარისკაცები, შემდეგ პლატფორმები მოდიოდნენ, რომლებზედაც მოთავსებული იყო ავტომანქანები და მძარცველთა და დამპყრობთა არმიის შევსება.

— მე ღონივრად გამოვკარ მავთულს. გაისმა ორი ხანმოკლე მშრალი ჯახუნი ვაკისზე. იგრიალა აფეთქებამ. მოისმა ლითონის ჟღარუნი, დამტვრეული და მოტეხილი ხიდების ტკაცუნი, გრიალი... ვაგონები იმსხვრეოდა, ერთმანეთს ეჯახებოდა. ისმოდა თავზარდაცემული ჯარისკაცების ყვირილი და კვნესა. ისინი იარაღს ჰყრიდნენ, ქვემოთ ხტებოდნენ და გარბოდნენ, მაღალი ვაკისიდან კი მათ ლაწა-ლუწით თავზე ეცემოდა ვაგონები და პლატფორმები. საქმე გაკეთებული იყო. თვალყურის დევნების დრო აღარ გვქონდა და ყველანი სწრაფად გავეშურეთ ტყისაკენ.

ფაშისტები დილამდე აგროვებდნენ ნამსხვრევებს, პლატფორმებით მიჰქონდათ ასობით მოკლული და დაჭრილი. უაღრესად მნიშვნელოვან ხაზზე მიმოსვლა შეჩერებულ იქნა ერთი დღე-ღამით.

რამდენიმე დღის შემდეგ სუხანოვის რაზმმა ააფეთქა და ლიანდაგიდან გადასჩეხა მძიმე ქვემეხებითა და საომარი მასალით დატვირთული 40-ვაგონიანი შემადგენლობა. ერთი თვის განმავლობაში რაზმის მებრძოლებმა არაერთხელ ააფეთქეს სხვადასხვა ადგილას რკინიგზის ვაკისი. 20-ჯერ და მეტჯერაც დაანგრიეს ფაშისტთა შტაბების ბუდეები, გადასჭრეს სავეელე კავშირგაბმულობის სადენები, დასთხარეს ტელეფონისა და ტელეგრაფის ხაზის ბოძები, მოსპეს გზებზე მოტოციკლისტები და მეკავშირენი, სოფლებში სასტიკად გაუსწორდნენ სამშობლოს მოღალატეებს.

სამი თვის განმავლობაში რაზმმა ათასამდე კილომეტრი გადასერა მტრის ზურგში და მძიმე ზარალი მიაყენა მას.

ზ. აფანასიევი.

კალინინისათვის წარმოებული ბრძოლების გმირები

კალინინის მიმართულება, 15 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). იმ სასტიკ სისხლისმღვრელ ბრძოლებში, რაც გერმანელ დამპყრობლებთან სწარმოებს ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის, საბჭოთა მეომრები, რომლებიც გმირულად იბრძვიან კალინინის რაიონში, ურყევ სიმტკიცეს და განსაკუთრებულ სიმამაცეს იჩენენ. კალინინისათვის წარმოებული ბრძოლების სახელგანთქმულ გმირებს მთელი ფრონტი იცნობს.

კალინინის მიმართულების ჯარებში სიყვარულითა და სიამაყით წარმოსთქვამენ სატანკო ქვეგანაყოფის კომისრის, უფროს პოლიტხელ გრიგოლ გნირიას სახელს, რომელმაც მტრის ზურგში თავისი გაბედულებით უმაგალითო სატანკო რეიდი ჩაატარა. გრიგოლ გნირია, რომელიც გერმანელთა მიერ დაკავებულ უბანში შეიჭრა, შეუბრალებლად სპობდა მტრის სამხედრო ტექნიკას და ცოცხალ ძალას. ლ. და ნ-ს რაიონში ამხ. გნირიამ დასაშვებ მოედანზე მოსპო ფაშისტთა 2 ბომბდამშენი, გასრისა 3 ტანკეტი და ერთი ტანკი, 9 ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი და 70-მდე სატრანსპორტო ავტომანქანა.

როდესაც გერმანელებმა ამ გმირის ტანკი დააზიანეს, ამხ. გნირია მანქანიდან გამოვიდა და განაგრძობდა საზიზღარ მტერთან ბრძოლას. ქვეითად ბრძოლის დროს მან რამდენიმე ფაშისტი მოსპო.

კალინინის ფრონტის სამხედრო საბჭომ ამ დღეებში გრიგოლ მარკოზის-ძე გნირია ლენინის ორდენით დააჯილდოვა.

საბჭოთა კავშირის გმირმა, უფროსმა ლეიტენანტმა იოსებ მაკოვსკიმ სურვილი განაცხადა სათავეში ჩასდგომოდა მებრძოლთა ჯგუფს, რომელსაც ღამით იერიში უნდა მიეტანა დასახლებულ პუნქტ ე-ზე. მაკოვსკი და მისი მებრძოლები შეუმჩნევლად მიეპარნენ ფაშისტთა ბუნაგს, ალყა შემოარტყეს სოფელს და მოულოდნელი თავდასხმით უდიდესი ზარალი მიაყენეს გერმანელებს. ღამის ამ იერიშის დროს მათ მოჰკლეს და დასჭრეს 300 ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელყუმბარებით მოსპეს 10 სატვირთო ავტომანქანა საომარი მასალით, სურსათითა და საჭურვლითურთ, შტაბის ავტობუსი, ტანკეტი, ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, ნაღმსატყორცნი ბატარია და ერთი მძიმე ქვემეხი. ამ ბრძოლაში მაკოვსკიმ განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინა. ღამის იერიშის შემდეგ მან 20 მეავტომატე მებრძოლთან ერთად კიდევ ერთი გამოხდომა მოაწყო. მეორე ბრძოლის დროს მაკოვსკიმ ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარების მარჯვე სროლით მოსპო გერმანელთა მძიმე ქვემეხი. გმირი დაიჭრა, მაგრამ თავისი მოვალეობა ბოლომდე შეასრულა.

ამ გმირობისათვის საბჭოთა კავშირის გმირი უფროსი ლეიტენანტი იოსებ მაკოვსკი დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

სოფელ ვ-ში ფაშისტთა დიდი ჯგუფი გამაგრდა. უმცროს ლეიტენანტ მიხეილ როგოვს დაავალეს მტრის ძალების დაზვერვა. როგოვმა გამოარკვია, რომ სოფელში არის 300-მდე ფაშისტი, დიდძალი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, საზენიტო, დაზგისა და ხელის ტყვიამფრქვევი. სარდლობამ როგოვს დაავალა გასძღოლოდა 70 მებრძოლს და მოესპო მტერი სოფელ ვ-ში. იმავე ღამეს უმცროსმა ლეიტენანტმა ნაცნობი გზით წაიყვანა რაზმი, გარს შემოარტყა სოფელს და გაბედული იერიშით, რაც გერმანელებისათვის სრულიად მოულოდნელი იყო, მოსპო იქ გამაგრებული ფაშისტთა მთელი ჯგუფი. ამ ოპერაციის დროს მოსპობილია 2 ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი, 3 საზენიტო ქვემეხი, 3 დაზგის და 3 ხელის ტყვიამფრქვევი, 4 ნაღმსატყორცნი, 3 სატვირთო და 3 მსუბუქი ავტომანქანა, 70 მოტოციკლი და ამდენივე ველოსიპედი.

მიხეილ ნესტორის-ძე როგოვი სამხედრო საბჭომ ლენინის ორდენით დააჯილდოვა.

მთელმა ჩვენმა ქვეყანამ იცის თუ რა გმირობა ჩაიდინა უფროსმა სერჟანტმა მიხეილ ქრისტეფორეს-ძე გორობეცმა, რომელიც მტრის ჯარების განლაგებაში შეიჭრა თავისი ტანკით. გორობეცი კალინინში შეიჭრა და თავისი ეკიპაჟით მოსპო მტრის 20 სატრანსპორტო ავტომანქანა, 3 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 5 მსუბუქი და 3 საშუალო ტანკი, მოსპო დიდძალი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამ გმირობისათვის მიხეილ გორობეცი ამ დღეებში წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს.

სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის კალინინის ფრონტის სამხედრო საბჭომ სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა კალინინში მოქმედი 253 გმირი მებრძოლი. ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 5 კაცი, წითელი დროშის ორდენით—75 კაცი, წითელი ვარსკვლავის ორდენით—85 კაცი.

ი. დენენბერგი.

მფრინავები გერმანელ ოკუპანტებს ანადგურებენ

ლენინგრადის ფრონტი, 17 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ამ უკანასკნელ სამ დღეს საბჭოთა კავშირის გმირის, ამხანაგ დანილოვის ქვეგანაყოფის მფრინავებმა მაქსიმალურად გამოიყენეს ხელსაყრელი ამინდი გერმანელთა თავდაცვითს ზღუდეებზე განუწყვეტელი იერიშების მისატანად. ფაშისტებს დიდი ზარალი მივაყენეთ. მოვსპეთ დიდი ყალიბის 10 ქვემეხი და საველე არტილერიის ერთი ბატარია, 20-ზე მეტი ნაღმსატყორცნი, საზენიტო არტილერიის 7 ბატარია და 14 ცალკე საზენიტო დანადგარი, 30-მდე სატყვიამფრქვევო ბუდე, 50 საომარი მასალის საწყობი და 14 ავტომანქანა სამხედრო ტვირთითურთ.

მაიორ სანდალოვის მოპიკირე ბომბდამშენთა ჯგუფი გაბედულად დაესხა თავს მტრის ზურგის ერთ-ერთ რკინიგზის სადგურს, რომელიც გერმანელთა ჯარების ტრანსპორტირებისა და მომარაგების ბაზა იყო. სადგურში რამდენიმე სამხედრო ეშელონი იდგა. ერთ-ერთი მათგანი ის იყო ჩამოდგა და ჯერ კიდევ განტვირთვა ვერ მოესწრო. სწორედ მის წინააღმდეგ იქნა მიმართული ძირითადი დარტყმა. შემადგენლობას ცეცხლი მოედო. დიდი ფეთქებადი ძალის ბომბებმა დააზიანეს სადგურის სალიანდაგო მეურნეობა და სხვა ეშელონების მოძრავი შემადგენლობა.

მაგრამ ჩვენმა ავიაციამ მთავარი ღონისძიება მტრის ცოცხალი ძალისა და მისი სამალავი ადგილების მოსასპობად მიჰმართა. ახსოვთ რა ამხანაგ სტალინის მითითება, ჩვენი მფრინავები გერმანელებს ქლეტავენ ყველგან—სანგრებსა და ბლინდაჟებში, ქალაქებსა და სოფლებში. უღრან ტყეებში და მარშის დროს. ამ საბრძოლო მოქმედების დროს განსაკუთრებით ისახელეს თავი პილოტებმა, რომლებსაც მეთაურობენ კაპიტნები—ანისიმოვი და შალიმოვი, უფროსი ლეიტენანტები—სიტენკო და სტარკოვი, ლეიტენანტი კირეევი და სანდალოვი.

ა. გრომოვი

დარბაზობა ჩან კაი-შისთან ოქტომბრის რევოლუციის XXIV წლისთავის აღსანიშნავად

(მიღებულია დაგვიანებით)

ჩუნცინი, 9 ნოემბერი (საკდესი). დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXIV წლისთავის აღსანიშნავად ჩან კაი-შიმ ვახშამი გაუმართა საბჭოთა სამხედრო მრჩეველთ საბჭოთა საელჩოს სამხედრო ატაშეს გენერალ ჩუიკოვის მეთაურობით. ვახშმად იყვნენ ჩინეთის სამხედრო საბჭოს და გენერალური შტაბის წარმომადგენლები. ჩინეთის მთავრობისა და ხალხის სახელით ჩან კაი-შიმ მიულოცა საბჭოთა მთავრობას, სსრ კავშირის ხალხებს და გმირ წითელ არმიას დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXIV წლისთავი. მან აღნიშნა, რომ 24 წლის წინათ რუსმა ხალხმა დაამხო მეფის თვითმპყრობელობა, დაამარცხა შინაური კონტრრევოლუცია და საგარეო ინტერვენცია და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა. 24 წლის განმავლობაში საბჭოთა ხალხმა მძლავრი სახელმწიფო შექმნა. მაგრამ ჰიტლერმა 22 ივნისს დაიწყო საბედისწერო ომი, მთელი ძალები გამოიყვანა, რათა დაემარცხებინა საბჭოთა კავშირი. 4 თვის ომმა ჩაფუშა ჰიტლერის მთელი გეგმა ელვისებური ომისა. ჰიტლერმა 4% მილიონამდე კაცი დაჰკარგა. წითელმა არმიამ უკვე შექმნა ფაშიზმზე გამარჯვების საფუძვლები. „ჩინეთის მთელი თანაგრძნობა,—განაცხადა ჩან კაი-შიმ,—საბჭოთა კავშირის ხალხთა მხარეზეა. ჩვენ თანავუგრძნობთ საბჭოთა ხალხის ბრძოლას".

დასასრულ ჩან კაი-შიმ წარმოსთქვა გმირი წითელი არმიის სადღეგრძელო, გამოსთქვა სურვილი, რომ გამარჯვებით დაგვირგვინდეს საბჭოთა ხალხის შეიარაღებული წინააღმდეგობა და ჯანმრთელობა უსურვა სტალინს.

ოქტომბრის რევოლუციის XXIV წლისთავთან დაკავშირებით ჩან კაი-შის მისალმების პასუხად ვახშმის დროს სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა საელჩოს სამხედრო ატაშემ გენერალმა ჩუიკოვმა. მან სადღეგრძელოში აყვავება უსურვა ჩინეთისა და სსრ კავშირის ორ დიდ ხალხს და ჯანმრთელობა უსურვა ჩან კაი-შის.

რუზველტმა ხელი მოაწერა კანონპროექტს, რომლითაც ნებადართულია ამერიკის სავაჭრო გემების შეიარაღება

ლონდონი, 18 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, რუზველტმა ხელი მოაწერა კანონპროექტს, რომლითაც ნებადართულია ამერიკის სავაჭრო გემების შეიარაღება.

თურქული გაზეთი ამერიკის შეერთებული შტატების ნეიტრალიტეტის კანონის შეცვლის შესახებ

სტამბოლი, 17 ნოემბერი (საკდესი). გაზეთ „ტანის" რედაქტორი ზექერია სერტელი ეხება ამერიკის შეერთებული შტატების ნეიტრალიტეტის კანონის შეცვლას და სწერს: „ამ შეცვლის პირველი შედეგი არის ამერიკისა და ინგლისის ფლოტის თანამშრომლობა ატლანტის ოკეანეში, რომელიც ახლა ინგლისისა და ამერიკის სრულ კონტროლქვეშ იქნება. ამერიკის ფლოტი ეფექტიანად გამოიყენებს ინგლისის ბაზებს ატლანტის ოკეანეში. ნეიტრალიტეტის კანონის შეცვლა საგრძნობლად გააძლიერებს ინგლისსა და მის მოკავშირეებს.

იუნაიტედ პრესის სააგენტო ინგლის-ამერიკის ერთობლივი ოპერაციების შესახებ ზღვაში

ნიუ-იორკი, 17 ნოემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტის ცნობით, ინგლისურ წრეებში აცხადებენ, რომ ინგლისისა და ამერიკის ფლოტებმა ჩაატარეს „განსაკუთრებით წარმატებული ოპერაციები" გერმანიის წყალქვეშა ნავებისა და ავიაციის ახალი შემოტევის წინააღმდეგ ატლანტიკაში. ამავე ცნობებით, ინგლის-ამერიკის პატრულობის გაუმჯობესების შედეგად მოსპობილია მტრის დიდძალი წყალქვეშა ნავი.

ინგლისის სამხედრო-საზღვაო წრეებში ამბობენ, ჩვენ არაფერი ვიცით, იმის შესახებ, თითქოს გერმანიის ხომალდებთან ისლანდიის მახლობლად მომხდარიყოს ბრძოლა, რომელშიც მონაწილეობა მიეღოთ ამერიკის სამხედრო ხომალდებსო.

ამერიკელი მიმომხილველი აღმოსავლეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 17 ნოემბერი (საკდესი). გაზეთ „რეინოლდს ნიუსმა" მოათავსა ნიუ-იორკიდან მიღებული სტატია ცნობილი სამხედრო მიმომხილველის მაქს ვერნერისა. ვერნერი ახასიათებს რა აღმოსავლეთის ფრონტის მდგომარეობას, სწერს, რომ რუსების ბრძოლა მოსკოვისათვის წარმატებით თავდაცვაზე უფრო მეტია. აქ აღმოჩნდა გერმანიის სტრატეგიის კრიზისის პირველი სიმპტომი. ვერნერის აზრით, გერმანიის არმიის შემტევი მანქანა არასაკმარისი აღმოჩნდა და გერმანიის არმია განიცდის დიდ სიძნელეებს მომარაგების მხრივ. გერმანიის არმია მეტად შორს შეიჭრა და არა აქვს შესაძლებლობა აწარმოოს განუწყვეტლივი შეტევა მტერზე, რომელსაც ესოდენ ძლიერი წინააღმდეგობის უნარი აქვს.

ვერნერი აღნიშნავს, რომ გერმანიის არმიას არ შეუძლია გადავიდეს თავდაცვაზე. იგი ძლიერ არის დაშორებული თავის ოპერატიულ ბაზებს. გერმანიის დაცვა შეუძლებელია დონისა და ოკის ნაპირებზე. ამიტომ,—აღნიშნავს ვერნერი,—ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს მეტი შესაძლებლობა აქვს სამხედრო წარმატებისა. ახლა საჭიროა დაიჭირონ გამბედაობა და ინიციატივა იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნას გერმანიის მარცხი.

ამერიკისა და ინგლისის ფლოტის მოქმედება გერმანიის წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 17 ნოემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ინგლისის წრეებში აცხადებენ, რომ ამერიკისა და ინგლისის სამხედრო ფლოტმა ჩაატარა „მეტად წარმატებითი მოქმედება" ატლანტის ოკეანეში გერმანიის წყალქვეშა ნავებსა და თვითმფრინავთა ახალი შემოტევის წინააღმდეგ. ინგლის-ამერიკის საპატრულო სამსახურის გაძლიერების შედეგად მოსპობილ იქნა გერმანიის ბევრი წყალქვეშა ნავი.

იუგოსლავიელ პატრიოტთა ბრძოლა გერმანელ დამპყრობლებთან

ნიუ-იორკი, 17 ნოემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, გერმანიის დეპეშათა სააგენტომ უნგრეთში „ინტერნაციონალეს ნახრიხტერ ბიურო" გამოაქვეყნა ცნობა, რომ ბელგრადის სამხრეთით 50 კილომეტრზე ქალაქ ლიუბოვიის მახლობლად მთავრობის ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს 207 პარტიზანი, მათ შორის 8 ქალი. რაზმის მეთაურები და პოლიტკომისრები სიკვდილით დასაჯეს. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, ბელგრადში შეპყრობილ 500 მძევალთა შორის მთელი რიგი ყოფილი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები არიან. ბევრ მძევალს არავითარი წინააღმდეგობა, პასიური წინააღმდეგობაც კი არ გაუწევია ნაცისტებისათვის.

500 ათასზე მეტი სერბიელი ლტოლვილი, რომელნიც ხორვატიიდან, ბოსნიიდან და ბელგრადიდან გამორბიან, განიცდიან გაჭირვებას, შიმშილობს.

ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საბჭოს მომავალი სესიის გამო

ლონდონი, 18 ნოემბერი (საკდესი). ჩეხოსლოვაკთა წრეები იუწყებიან ზოგიერთ ცნობას ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საბჭოს მომავალი სესიის შესახებ, რომელიც ბენეშმა დანიშნა 25 ნოემბრისათვის. სულ სახელმწიფო საბჭოში შედის 38 წევრი, მათ შორის 2 სლოვაკი. სახელმწიფო საბჭოში შედის აგრეთვე 3 წევრი ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა. ეს წევრები არიან ყოფილი დეპუტატები ანეშკა გოდინოვა, ვაცლავ ნოსეკი და იოსებ ვალო. გარდა ამისა, მოელიან სახელმწიფო საბჭოს წევრთა ახალ დანიშვნას.

ჩეხოსლოვაკთა წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო საბჭოს სტრუქტურა დაფუძნებულია არა ყოფილი ჩეხოსლოვაკიის პარლამენტის პარტიათა წარმომადგენლობაზე, არამედ მიზნად აქვს ასახოს ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრივი აზრის ყოველგვარი ელფერი.

დემონსტრაციულად გადადგა მდივანი საფრანგეთის მისიისა კუბაში

ნიუ-იორკი 17 ნოემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო ჰავანიდან გადმოგვცემს, რომ საფრანგეთის მისიის მდივანი გრუზე თანამდებობიდან გადადგა, ვიშის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

იაპონიის პარლამენტის საგანგებო სესიის გახსნა

ტოკიო, 16 ნოემბერი (საკდესი.) როგორც დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, იაპონიის პარლამენტის საგანგებო სესიის გახსნისას წაკითხულ იქნა იმპერატორის რესკრიპტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მინისტრებს ებრძანათ პარლამენტის სესიაზე შეიტანონ დამატებითი ბიუჯეტი და სხვადასხვა კანონპროექტი, რომლებიც საჭიროდ გახდა ახლანდელ ვითარებასთან დაკავშირებით. „თქვენ მოგეთხოვებათ,—ნათქვამია რესკრიპტში,—თანხმობის სულისკვეთების მიხედვით შეასრულოთ თქვენი მოვალეობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეუწყოთ სახელმწიფო საქმეების გატარებას ჩვენ მიერ გამოთქმული სურვილების მიხედვით".

სამხრეთ აზიაში იაპონიის აქტივიზაციის გეგმები

შანხაი, 17 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ იაპონელთა დიდძალი ჯარის დაყენება ინდო-ჩინეთის სამხრეთ ნაწილში და არსებული აეროდრომების გაფართოება, რაც წვიმების სეზონის დამთავრებას დაემთხვა, იმის მომასწავებლად მიაჩნიათ, რომ შესაძლებელია იაპონელთა სამხედრო აქტივობა განახლდეს წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში. ადვილი მოსალოდნელია, რომ მთელი ეს აქტივობა მიმართულ იქნება ბირმა-ჩინეთის გზის წინააღმდეგ და სინგაპურის (გამოტოვებულია).

ზღაპრული სიძვირე რუმინეთში

სტამბოლი, 17 ნოემბერი (საკდესი). რუმინეთიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ იქ პირველი მოთხოვნილების პროდუქტები ზღაპრულად გაძვირდა. ბუქარესტიდან ჩამოსული პირნი გვიამბობენ, რომ წელს მაისიდან რუმინეთში ხორცის ფასი გაიზარდა 300 პროცენტით, კარტოფილის, კვერცხისა და ძეხვის ნაკეთობისა — 400 პროცენტით, ერბო-კარაქისა — 250 პროცენტით და სხვ. ძალზე გაძვირდა ტანსაცმელი. ფასები ზედა ტანსაცმლისა გაიზარდა 300 პროცენტით, ტრიკოტაჟისა კი 400 პროცენტით.

გადასახადთა გადიდება გერმანიაში

სტამბოლი, 17 ნოემბერი (საკდესი). ბელგრადის გერმანული გაზეთი „დონაუ ცაიტუნგი" იუწყება, რომ სამხედრო ხარჯების ზრდასთან დაკავშირებით, გერმანიაში ერთიორად გადიდდა ყველა სახის გადასახადი ომამდელ დონესთან შედარებით. ომამდე გადასახადთა საერთო თანხა გერმანიაში 7 მილიარდ მარკას შეადგენდა წლიურად,

1941 წელს გადასახადთა თანხა 27 მილიარდ და 200 მილიონ მარკამდე გადიდდა.

გერმანიის საინფორმაციო ბიურო ინგლისისა და გერმანიის ავიაციის დანაკლისის შესახებ

ჟენევა, 17 ნოემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ ინგლისელებმა ვერ მოახერხეს რაიმე დიდი ოპერაცია მოეხდინათ ევროპის იმ სანაპიროს რომელიმე პუნქტში, რომელიც 9 ათასამდე კილომეტრს შეადგენს და რომელსაც გერმანიის შეიარაღებული ძალები იცავენ. ბერლინში აღნიშნავენ, რომ ინგლისის ავიაცია იმ მომენტშიც კი, როდესაც გერმანიის ავიაციის ძირითადი ნაწილი აღმოსავლეთშია დაბანდებული, ვერ ახერხებს რაიმე წარმატებას მიაღწიოს. წინააღმდეგ ამისა გერმანიის ავიაცია განუწყვეტლივ ბომბავს დიდი სამხედრო მნიშვნელობის ობიექტებს ბრიტანეთის კუნძულებზე. ინგლისის ავიაციამ არსებითი ზიანი ვერ მიაყენა გერმანიის სამხედრო მრეწველობას. 1941 წლის 1 იანვრიდან 31 ოქტომბრამდე ინგლისის ავიაციამ დაჰკარგა 1.192 გამანადგურებელი და 1.309 ბომბდამშენი, მაშინ როდესაც გერმანელებმა მხოლოდ 602 თვითმფრინავი დაჰკარგეს.

პრიტის სიტყვა თემთა პალატაში

ლონდონი, 16 ნოემბერი (საკდესი). თემთა პალატაში მეფის სიტყვის გამო გამართულ კამათში გამოვიდა ლეიბორისტი პრიტი; მან გააკრიტიკა მთავრობაში ისეთ ადამიანთა ყოფნა, რომლებიც გულგრილად ეკიდებიან სსრ კავშირისადმი დახმარებას. მან აღნიშნა, რომ ივნისის შემდეგ გაკეთებულია არა ერთი განცხადება, რომლებმაც ერთობ არასასურველი შედეგი მოიტანეს. არიან მთავრობის წევრები და მთავრობასთან დაკავშირებული პირნი, რომელთა უწინდელი შეხედულება და იდეოლოგია გვაფიქრებინებს, რომ მათ არ შეუცვლიათ თავიანთი მტრული დამოკიდებულება ყოველივე იმისადმი, რაც სსრ კავშირს ეხებაო.

პრიტმა სთქვა: უადგილო ხმები სწორედ იმიტომ ვრცელდება, რომ ეს მინისტრები მთავრობაში რჩებიან და პრემიერის მხარდაჭერით სარგებლობენო.

მე არ ვაპირებ განვაცხადო, რომ მთავრობა მტრულად ეკიდება სსრ კავშირს, — განაგრძო პრიტმა,—მე ამას არა ვფიქრობ, მაგრამ მეტად სამწუხაროა, რომ მთავრობაში შედიან ისეთი ელემენტები, რომელთა განწყობილება მოსახლეობის მეტად ფართო ფენებს შთაბეჭდილებას უქმნის, რომ მთავრობა გულგრილად ეკიდება სსრ კავშირს. მთავრობიდან რომ რამდენიმე მინისტრი წავიდოდეს, ეს დიდი კმაყოფილებას გამოიწვევდა ხალხის უაღრესად ფართო მასებში.

ჩან კაი-შის სიტყვა

ჩუნცინი, 9 ნოემბერი (საკდესი). (მიღება დაგვიანებულია). 7 ნოემბერს ჩან კაი-შიმ მოაწყო უცხოელ კორესპონდენტთა მიღება. თავის მისასალმებელ სიტყვაში ჩან კაი-შიმ აღნიშნა ერთიანობა დემოკრატიული ქვეყნებისა, რომელნიც აგრესიის წინააღმდეგ იბრძვიან. თუმცა, სთქვა მან, შეერთებული შტატები ომში მონაწილეობას არ იღებენ, მაგრამ მათს დახმარებას აგრესიასთან ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩან კაი-შიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფაშისტური ქვეყნები ახალ დარტყმას ამზადებენ დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ, და ანტიაგრესიულმა ქვეყნებმა ამას უნდა დაუპირისპირონ თავისი ერთობა და ძალა.

შეჩერდა რა ჩინეთის მდგომარეობაზე იაპონიის წინააღმდეგ 4 წლის განმავლობაში წარმოებულ ომთან დაკავშირებით, ჩან კაი-შიმ განაცხადა, ჩინეთს შეუძლია და გადაწყვეტილი აქვს აწარმოოს შემდგომი ბრძოლა იმ მიზნით, რათა დაიბრუნოს დაკარგული ტერიტორიები.

შემდეგ ჩან კაი-შიმ აღნიშნა მამაცობა და თავგანწირულება ინგლისელი ხალხისა აგრესორთან ბრძოლაში. ჩან კაი-შიმ რწმენა გამოსთქვა, რომ საბჭოთა კავშირი გაიმარჯვებს გერმანიის ფაშიზმზე. „გმირობა და მამაცობა წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხისა, რომლებიც დროს იგებენ სივრცის ხარჯზე,— სთქვა მან,—თავდებია ფაშიზმზე სსრ კავშირის საბოლოო გამარჯვებისა".

ინგლისის პრესა ფინეთის მიერ ამერიკის შეერთებული შტატებისადმი მიცემული პასუხის გამო

ლონდონი, 17 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ლონდონის პრესის გამოძახილს ამერიკის შეერთებული შტატებისადმი ფინეთის პასუხის გამო. გაზეთი „ტაიმსი" ამერიკის შუამავლობის ცდაზე ფინეთის მიერ გაცემულ პასუხს თავის მოწინავეში ახასიათებს, როგორც ბრალდებულის დასაცავ სიტყვას, რომელსაც სპეციალურად ამერიკელი ხალხის გრძნობებზე იმედი აქვს. ფინეთისათვის უშიშროების უზრუნველყოფა შეიძლებოდა,—სწერს „ტაიმსი",—თუნდაც სრულიად არ მიემართნათ ომისათვის, და შესაძლებელია ამჟამად იქნას უზრუნველყოფილი ისე, რომ საჭირო არ იყოს ომის განგრძობა, ფინეთის მთავრობა ამჯობინებს სრულიად საწინააღმდეგო გზით იმოქმედოს. ფაქტები ფაქტებად რჩება, და ეს ფაქტები შედეგს განსაზღვრავენ. სრულიად უდავო ფაქტია, რომ ამჟამად ფინელები ღრმად შეიჭრნენ რუსეთის ტერიტორიაზე და ნამდვილად იბრძვიან არა საკუთარი დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, არამედ მთელს ევროპაში ნაცისტური წესწყობილების დამყარების მიზნით.

ფინეთის ომი სულაც არ არის ომი საკუთარი თავისუფლების შესანარჩუნებლად. ფინელები რუმინელებთან და უნგრელებთან ერთობლივ ომობენ იმისათვის, რომ ჰიტლერიზმს უღელი დაადგან როგორც თავიანთ ქვეყანას, ისე ევროპის ყველა სხვა თავისუფალ ქვეყნებს. ისინი ომობენ დიდი ბრიტანეთისა და მის მოკავშირეთა წინააღმდეგ, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ, რაც ნათლად გვაგრძნობინა ჰელმა.

გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი" სწერს, რომ ფინეთის პასუხი ერთობ მიაგავს ჰიტლერული პროპაგანდისტის ყოველ გამოსვლას. იგი სოფისტიკის, სიცრუისა და თავისმართლების ძაფს წარმოადგენს. გაზეთის აზრით, ფინეთის გამართლება არ შეიძლება იმით, რომ მისი მთავრობა იძულებით მოქმედებს, რადგან ერთობ ბევრი ცნობა მოიპოვება, რომლებიც მოწმობენ, რომ ფინეთის მთავრობას ბრალი მიუძღვის გერმანიასთან თანამონაწილეობაში. ძნელი დასაჯერებელია, —განაგრძობს გაზეთი,—ჰელსინკში მოინახოს თუნდაც ერთი იმდენად გულუბრყვილო ადამიანი, რომელიც ფიქრობდეს, რომ ეგრეთწოდებულ „სტრატეგიულ" საზღვარს შეუძლია უზრუნველყოს ისეთი მცირე და სუსტი ქვეყნის უშიშროება, როგორიც ფინეთია. არა უშიშროება, არამედ ტერიტორიის გაფართოება, რაც გერმანიის მიერ არის აღთქმული და გარანტირებული, წარმოადგენს იმ საომარი კამპანიის მიზანს, რომელსაც ამჟამად ფინელები ეწევიან რუსეთის მიწა-წყალზე.

დასასრულ, გაზეთი სწერს: ფინელი ხალხის უმრავლესობა პროგერმანულად არ არის განწყობილი, და შესაძლოა, „საზოგადოებრივი აზრის ბრძოლამ აიძულოს კიდევაც ჰელსინკის მთავრობა გადასინჯოს თავისი ახლანდელი თვითმკვლელობის პოლიტიკა".

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 17 ნოემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 16 ნოემბერს ღამით მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

ხმელთაშუა ზღვის აუზში 14 ნოემბერს ღამით ბომბდამშენებმა წარმატებით დაბომბეს კატანიის, სიცილიის, ბრინდიზის (იტალია), ბენგაზის, ბერკის, ბარდიის და დერნის სამხედრო ობიექტები. მთელ რიგ ადგილებში აღნიშნულია პირდაპირი მოხვედრა.

ახალი „მერვე არმია" ახლო აღმოსავლეთში

ლონდონი, 16 ნოემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ყაიროში შესდგა ახალი არმია, რომელსაც ეწოდება დასავლეთის უდაბნოს „მერვე არმია". ამას აფასებენ, როგორც ინგლისისა და მის მოკავშირეთა გაძლიერებას ახლო აღმოსავლეთში. „მერვე არმია" კარგად იქნება აღჭურვილი დიდი რაოდენობის თანამედროვე იარაღით, რომელსაც იღებენ უკანასკნელი თვეების განმავლობაში ახლო აღმოსავლეთში.

ინგლისის ბაზების მომზადება ამერიკის სამხედრო ხომალდების მისაღებად

ნიუ-იორკი, 17 ნოემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ, არსებული ცნობებით, ინგლისის სამხედრო ბაზები უკვე ემზადებიან ამერიკის სამხედრო ხომალდების მისაღებად, რომლებიც, ალბათ, ბადრაგობას გაუწევენ სავაჭრო გემთა ქარავნებს თვით ინგლისამდე. ზოგიერთ წრეში აცხადებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, ალბათ, გამოიყენებენ სამხედრო ბაზას ჩრდილო ირლანდიაში; ამ ბაზის მშენებლობაში მონაწილეობას იღებდნენ ამერიკელი ტექნიკოსი სპეციალისტები.

ჯგუფური კონსულტაცია

20 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტის სანიტარული თავდაცვის დარბაზში (ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლი) შესდგება ამხ. გაბრიჭიძის ჯგუფური კონსულტაცია რუსულ ენაზე. თემა: **„ბრძოლა ინფექციურ დაავადებებთან".**

21 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტის პოლიტიკური აგიტაციის დარბაზში (ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლი) აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთათვის შესდგება ამხ. ა. ი. ნიკიტენკოს ჯგუფური კონსულტაცია რუსულ ენაზე. თემა: **„როგორ მოვაწყოთ პოლიტიკური აგიტაცია მოსახლეობაში საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პირობებში".**

„მეფის საცოლე"

21 ნოემბერს ოპერის თეატრში მეორედ ამ სეზონში მიდის ნ. რიმსკი-კორსაკოვის ოპერა „მეფის საცოლე". მთავარ როლებში გამოდიან რსფსრ დამსახურებული არტისტი **ვ. დავიდოვა** (ლიუბაშა), რესპუბლიკის სახალხო არტისტები **ე. სოხაძე** (მარფა) და **ს. ინაშვილი** (გრიაზნოი), მსახიობები **დ. მჭედლიძე** (სობაკინი), **ვ. ხამაშურიძე** (ლიკოვი), **შ. ქუთათელაძე** (ლიკოვი), **ზ. ხვანიძე** (ბომელი).

თეატრებში

სახოპერა — 19 ნოემბერს — „დაისი", **რუსთაველის სახელობის** — 19 ნოემბერს — „პროფესორი მამლოკი", 20 ნოემბერს — „ღალატი", 21 ნოემბერს — „რღვევა", **მარჯანიშვილის სახელობის** — 19 და 20 ნოემბერს — „მარგარიტა გოტიე", 21 ნოემბერს — „ურიელ აკოსტა", 22 ნოემბერს—„მკაცრი ქალიშვილები", **სახ. კულტურის ქართული თეატრი** — 20 ნოემბერს — „გაგრძელება იქნება", 22 ნოემბერს — „აჯილდა", 23 ნოემბერს— „გაგრძელება იქნება". **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — 19 ნოემბერს — „ხკაპენის ოინები" (მე-31 აბ., დასაწყ. საღ. 7 ს.), 20 ნოემბერს—„ცისფერი ხალიჩა" (მე-7 აბ., დასაწყ. დღის 4 ს.).

მოხსენება

21 ნოემბერს, დღის 1 საათზე, რუსთაველის სახელობის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტში ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის საჯარო სხდომაზე დოცენტი **ტ. რუხაძე** წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: **„პირველ სამამულო ომში მონაწილე ქართველები ძველ ქართულ მწერლობაში".**

დასწრება თავისუფალია.

ლექცია

21 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის შენობაში (საბჭოს ქ., № 134) შესდგება ამხ. კალინინას ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„გერმანელ ოკუპანტთა განადგურება 1918 წელში".** შესვლა თავისუფალია.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ.—„ცირკი", **ოქტომბერი**— „დაბრუნება", **დამკვრელი** — „მხიარული ახალგაზრდობა", **სპარტაკი**—„ბელა", **ლუქსემბურგის სახ.** — კინონოველები: I. „შავ მთებში", II. „ფორპოსტი", III. „სადარაჯო კოშკში", **26 კომ. სახ.**—„პეპო", **კომინტერნი**—„ორიოლის დალუპვა", **მეცნიერება და ცოდნა**—„ფრონტელი მეგობარი ქალები".

თბილისის სახცირკი

ყოველდღე საცირკო სანახაობა. **ახალი** ნომრები. ფრანგული ჭიდაობის მატჩები.

19 ნოემბერს ჭიდაობენ: აბდურახმანოვი— ალი რუსტამოვი, შევჩუკი—ჩუფისტოვი, ქსეველოდ ხერცი—სტრიჟაკი.

20 ნოემბერს ჭიდაობენ: აბდურახმანოვი— ყარა მუსტაფა, გურსკი—შევჩუკი, ვიდრიაკოვი—შევჩენკო.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ადგილკომი იუწყება სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის მთავარი ბუხჰალტრის

ნოე სოლომონის-ძე ჩხენკელის

გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი ყოველდღე, გამოსვენება 23/XI 3 ს. ბებელის მოედანი, 4, კუკიის სასაფლაოზე. 12526

ჰიგიენის სახლი იუწყება

ანტონინა დიმიტრის-ასულ ზედგინიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 19/XI 5 ს. კალინინის, 57, კუკიის სასაფლაოზე. 12523

მედინსტიტუტის ნერვების სნეულებათა კათედრა იუწყება

თამარ ისიდორეს-ასულ ჟვანიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 19/XI 7 ს. კობის, 21, გამოსვენება 20/XI 5 ს. 12527

თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის დირექცია, პარტბიურო და ადგილკომი იუწყებიან ინსტიტუტის სწავლული მდივნის

გრიგოლ მიხეილის-ძე გაბუნიას

გარდაცვალებას. გამოსვენება 20/XI 5½ ს. საბჭოს, 71. 12524

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26; პ/მგ რედაქტორის მოადგილისა—3-63-03; პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67; პ/მგ მდივნის მოადგილისა—3-06-88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდისა—3-81-84; სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება-ჯანმრთელობის და ინფორმაციის—3-80-84; სამხედროსი—3-57-61; წერილების—3-73-24; პ/მგ მორიგისა და გამომშვების—3-81-65; გამომცემლობის—3-51-81; სტამბის დირექტორის — 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. უე 42324